1967/3.
პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (319)

1967 წლის აგვისტო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (319) აგვისტო 1967 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

385. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
386. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 მაისის ბრძანებულებაში დამატების შეტანის შესახებ.
387. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელწყაროს და ადიგენის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში დეპუტატებთან მუშაობის შესახებ.
388. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამტრედიის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, კასპისა და სიღნაღის რაიონებში საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის შესახებ.
389. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
390. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადიგენის რაიონის სოფლების ამხერისა და საბუზარის გაუქმების შესახებ.

განყოფილება მეორე

391. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ ამხ. ი. დ. ქაბულოვის დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ. სახ. საბჭოთა
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

392. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. ფიკლაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

393. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

385 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები 240-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 240. ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე.

ივგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია განმეორებით ან ჩაიდინა პირთა ჯგუფმა წინასწარ შეთანხმებით ან იმ პირმა, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ფეთქებადი ნივთიერება მიცემული აქვს სამსახურებრივი სარგებლობისათვის ან ჩაბარებული აქვს დასაცავად, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე.

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება, ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმის გზით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე“.

2. მე-12 მუხლს სიტყვების „(100 მუხლის მეორე ნაწ. და 157 მუხლის მეორე ნაწილი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (მუხლი 240)“.

3. 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილს სიტყვების „(228 მუხლის მეორე და მესამე ნაწილი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები“ ყაჩაღური თავდასხმით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (240-ე მუხლის მესამე ნაწილი)“.

4. 44-ე მუხლის პირველ პუნქტს სიტყვების „(მუხლი 209[1])“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ყაჩაღური თავდასხმით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (240-ე მუხლის მესამე ნაწილი)“.

5. 54-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „(228 მუხლის მეორე და მესამე ნაწილი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (240-ე მუხლის მეორე ნაწილი)“.

ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის მე-3 პუნქტს დაემატოს სიტყვები „ყაჩაღური თავდასხმით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (240-ე მუხლის მესამე ნაწილი)“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. 206-ე მუხლს სიტყვების „(მუხ. 96,152)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება (მუხლი 240-ე, ნაწილი მეორე და მესამე)“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 17 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

386 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 მაისის ბრძანებულებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 მაისის ბრძანებულების მე-2 მუხლს სიტყვის „სასახლეების“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „არქივების“ და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგნაირად:

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ კულტურის სახლებისა და სასახლეების, არქივების, კლუბების, პარკების, მუზეუმების, ხალხური შემოქმედების სახლების, მეთოდური კაბინეტების, კინოთეატრების, კინოდანადგარების, კინოფილმების, გაქირავების კანტორების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის, ბეჭდვითი სიტყვის, გამომცემლობების, პოლიგრაფიის მუშაკებს, საზოგადოება „ცოდნის“ და სხვა ორგანიზაციების ლექტორებს, რომელთაც კულტურის დარგში იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 17 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

387 წითელწყაროს და ადიგენის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში დეპუტატებთან მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ წითელწყაროს და ადიგენის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები გარკვეულ მუშაობას ატარებენ საბჭოების დეპუტატებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადიგენის რაისაბჭოს აღმასკომმა მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში ჩაატარა რაისაბჭოს დეპუტატების საინსტრუქტაჟო თათბირები, რომლებზეც დეპუტატებს გააცნეს ზემდგომი ორგანოების დადგენილებანი საბჭოების შესახებ, განუმარტეს მათი უფლება-მოვალეობანი და სხვა. ანალოგიური თათბირი ჩაატარა წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომმა ა. წ. აპრილსა და მაისში.

დეპუტატებს მუშაობაში დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივი გაზეთები და რადიოგადაცემები, რომლებიც პერიოდულად აშუქებენ დეპუტატების მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, პოპულარიზაციას უწევენ დეპუტატების მუშაობის მოწინავე მეთოდებსა და ფორმებს, მაგალითად, ადიგენის რაიონულმა გაზეთმა 30 მაისს და 27 ივლისის ნომრებში დეპუტატების მუშაობას მიუძღვნა სპეციალური წერილები სათაურით „ლელოვნელი დეპუტატები", „დეპუტატი და ცხოვრება" და სხვა. ანალოგიურ საკითხებს მიეძღვნა ამავე რაიონის რადიოგადაცემები 24 მარტს და 24 აპრილს. წითელწყაროს რაიონულმა გაზეთმა „ახალი შირაქი" — მარტის თვეში გააშუქა რაისაბჭოს დეპუტატის, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრის თინა მაძღარაშვილის მუშაობის გამოცდილება.

ადიგენისა და წითელწყაროს რაიონული საბჭოების აღმასკომები სათანადო დახმარებას უწევენ დეპუტატებს წამოყენებულ წინადადებათა შესრულების საქმეში.

ადიგენის რაისაბჭოს აღმასკომის დახმარებით და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით, ამომრჩეველთა მოთხოვნის შესაბამისად, რაისაბჭოს დეპუტატის გ. მაშანეიშვილის თაოსნობით მიმდინარე წელს სოფელ წახანში გაყვანილ იქნა წყალსადენი, რომლის სიგრძე ერთი კილომეტრია. მშენებლობის პროცესშია სოფელ ქიქინეთის წყალსადენი. წითელწყაროს რაისაბჭოს დეპუტატის ნ. მამაიაშვილის ინიციატივით და რაიაღმასკომის მხარდაჭერთ კეთილმოწყო სოფელი ზედა მაჩხაანის შიდა გზები, გაშენდა შინმოუსვლელთა სკვერი.

ამომრჩეველთა წინადადებების უკეთ აღრიცხვის მიზნით ადიგენის რაისაბჭოს აღმასკომმა შეიმუშავა სპეციალური ფორმა.

როგორც წესი, ამომრჩევლებისათვის გასაცნობად დეპუტატებს ურიგდებათ სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

როგორც ადიგენის, ისე წითელწყაროს რაისაბჭოების აღმასკომებს, მიმდინარე წელს, განხილული აქვთ ამომრჩეველთა განაწესები, წინადადებები და დასახული აქვთ საჭირო ღონისძიებანი მათ შესასრულებლად.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ადიგენისა და წითელწყაროს რაიონული საბჭოების აღმასკომებს დეპუტატებთან მუშაობაში გაეჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები.

აღნიშნული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები სათანადო დახმარებას არ უწევენ დაქვემდებარებული საბჭოების აღმასკომებს დეპუტატებთან მუშაობის საქმეში, სასოფლო საბჭოების დეპუტატებთან არ ტარდება საინსტრუქტაჟო თათბირები მათი უფლება-მოვალეობის საკითხებზე, რის შედეგადაც სასოფლო საბჭოების დეპუტატთა გარკვეული ნაწილი ვერ ერკვევა თავიანთ უფლება-მოვალეობაში. წითელწყაროს რაიონის ზოგიერთ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლო საბჭოში, ხოლო ადიგენის რაიონის დიდი სმადის, ჭეჭლის, მოხეს სასოფლო საბჭოების და ადიგენის სადაბო საბჭოს აღმასკომებში არ წარმოებს დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების წინადადებების, სესიებზე გაკეთებული კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვა და რეგისტრაცია, არა აქვთ შემოღებული აღრიცხვის სპეციალური ჟურნალები. მიმდინარე წელს ადგილისა და წითელწყაროს რაიონების სასოფლო საბჭოებს არც ერთხელ არ განუხილავთ ამომრჩეველთა წინადადებანი, მათ შესასრულებლად არ განუხორციელებიათ საჭირო ღონისძიებანი.

აღნიშნული რაიონების საბჭოების აღმასკომებს პრაქტიკაში არ აქვთ, „დეპუტატის დღის“ ჩატარება, ახლად არჩეული და გასული მოწვევის დეპუტატების შეხვედრა გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით. მით უმეტეს, რომ ამ რაიონების საბჭოების დეპუტატთა შორის ნახევარზე მეტი პირველად არის არჩეული.

წითელწყაროს რაიონული საბჭოს აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ უთმობს მუდმივ კომისიებში ჩაბმული დეპუტატების საქმიანობას.

მგალითად, საბიუჯეტო კომისიის სხდომისათვის საკითხის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა დეპუტატმა, ხოლო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სოციალისტური კანონიერების და კულტსაგანმანათლებლო და სახალხო განათლების მუდმივ კომისიათა სხდომებისათვის — მხოლოდ ორ-ორმა დეპუტატმა.

მიმდინარე წლის ამავე რაიონის ქვემო ქედის სასოფლო საბჭოს სესიაზე, რომელმაც განიხილა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების შედეგები“, საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა დეპუტატმა. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სასოფლო საბჭოებშიც.

საბჭოების დეპუტატებთან მუშაობის საქმეში არსებული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ ადიგენისა და წითელწყაროს რაიონული საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ იჩენენ ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაავალოს წითელწყაროსა და ადიგენის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დასახონ ქმედითი ღონისძიებანი საბჭოების დეპუტატების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ამ მიზნით:

ა) პერიოდულად მოაწყონ დეპუტატთა შეკრებები, სემინარები, მეცადინეობები, რომლებზეც განუმარტონ დეპუტატებს მათი უფლება-მოვალეობანი, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებები და ნორმატიული აქტები საბჭოთა მშენებლობის სხვადასხვა საკითხებზე;

ბ) მიიღწიონ ყველა დეპუტატის საქმიანობის გადაჭრით გაუმჯობესებას, უზრუნველყონ დეპუტატთა აქტიური მონაწილეობა დასახული პუნქტების კეთილმოწყობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მხარი დაუჭირონ და განავითარონ დეპუტატების შემოქმედებითი ინიციატივა, დაეხმარონ მათ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებაში, რისთვისაც პერიოდულად განიხილონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობა და დასახონ მათი განხორციელების ღონისძიებანი;

დ) მიიღონ ზომები საბჭოებთან დეპუტატის ოთახის მოწყობაში, დაეხმარონ დეპუტატებს ამომრჩევლებთან შეხვედრაში, უზრუნველყონ ისინი საცნობარო მასალით, გააცნონ ამომრჩეველთა განაწესების აღრიცხვის წესი;

ე) მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები უფრო ნაყოფიერად საქმიანობდნენ მუდმივ კომისიებში, აქტიურად მონაწილეობდნენ სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადება-გადაწყვეტაში, და რაც მთავარია, იბრძოდნენ მიღებული გადაწყვეტილებების განუხრელად განხორციელებისათვის;

ვ) პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ ქვემდგომი საბჭოების დეპუტატების საქმიანობა, მოთხოვონ ყველა ქვემდგომი საბჭოს აღმასკომს დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების წინადადებების, აგრეთვე სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვა, რეგისტრაცია და სათანადო ღონისძიებების გატარება მათ შესასრულებლად.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საჭირო დახმარება გაუწიონ დეპუტატებს პრაქტიკულ საქმიანობაში, პერიოდულად ჩაატარონ მათთან საინსტრუქტაჟო თათბირები, განაზოგადონ მოწონავე დეპუტატების გამოცდილებანი, ამასთან დაეხმარონ მათ ამომრჩეველთა წინადადებების აღრიცხვისა და განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 17 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

388 სამტრედიის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, კასპისა და სიღნაღის რაიონებში საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. მ. დანელიას მოხსენება სამტრედიის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, კასპისა და სიღნაღის რაიონებში საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის შესახებ აღნიშნავს, რომ შემოწმებული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ზემოთ აღნიშნულ 5 რაიონში დღეისათვის მოქმედებს საზოგადოებრივ კვების 300 საწარმო, 8110 დასაჯდომი ადგილით.

1966 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა ა/კ რკინიგზის სამტრედიის მუშათა მომარაგების განყოფილების პავილიონი 100 დასაჯდომი ადგილით, გეგეჭკორის რაიონის საზოგადოებრივი კვების ქსელს 1966—1967 წლებში შეემატა 8 ახალი ობიექტი, კასპის რაიონში — 3, სიღნაღის რაიონში — 2. საზოგადოებრივი კვების ობიექტები სისტემატურად ასრულებენ საქონელბრუნვის გეგმებს.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სამტრედიის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, კასპისა და სიღნაღის რაიონების საზოგადოებრივი კვების ობიექტთა მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

საზოგადოებრივი კვების ობიექტების საკმაოდ დიდი ნაწილი მოთავსებულია სრულიად უვარგის და შეუფერებელ შენობებში, ნაწილი კერძო მფლობელთა ბინებში.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი უფაქტურო საქონლით ვაჭრობის შემთხვევები, მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუებისა და საპრეისკურანტო ფასების უხეშად დარღვევის ფაქტები. ბევრ სასადილოსა და სასაუზმეში არ არის ცხელი წყალი, აკლიათ ჭურჭელი.

ნაკლოვანებებია სანიტარული წესრიგისა და მომსახურე პერსონალის პირადი ჰიგიენის დაცვის საქმეში.

შემოწმებით გამორკვა, რომ ზემოთ აღნიშნულ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სხვა დაწესებულებების, ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობას. აღნიშნულ რაიონებში არ არის არც ერთი დიეტური სასადილო, და არც არსებულ ობიექტებშია გამოყოფილი დიეტური კვების კუთხეები.

ნაკლოვანებებია კადრების შერჩევის, აღზრდისა და მათი განაწილების საქმეში.

არადამაკმაყოფილებელია საზკვების ქსელში მომუშავე პირთა განათლების დონე; განსაკუთრებით იგრძნობა კულინართა ნაკლებობა. სათანადო ყურადღება არ ექცევა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ქალთა შრომის გამოყენების საქმეს.

მაგალითად, ჩოხატაურის რაიონის საზკვების ობიექტებში მომუშავეთა შორის ქალია მხოლოდ 24 %, კასპის რაიონში — 45,6 %.

ნაკლოვანებებია საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ საქონელბრუნვის საერთო გეგმები ამ რაიონებს შესრულებული აქვთ, სისტემატურად ვერ ასრულებენ საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმებს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს საზოგადოებრივი კვების ობიექტების სპეციალისტებით უზრუნველყოფის საქმეს, ვაჭრობის მოწინავე მეთოდების დანერგვისა და ურთიერთ გამოცდილების გაზიარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობასთან არსებული სარევიზიო აპარატის, აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სავაჭრო ინსპექციის საქმიანობა.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ რაისაბჭოს აღმასკომები და საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები ჯერ კიდევ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს სამტრედიის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, კასპისა და სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 მარტის დადგენილებით „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, ამ მიზნით:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ საზოგადოებრივი კვების ღია ქსელის, აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სასწავლო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან არსებული სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ბ) დეპუტატების, მუდმივი კომისიების და აქტივის მონაწილეობით გამაღონ ბრძოლა საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ, ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სასწავლო დაწესებულებების სასადილოებში დანერგონ მომხმარებელთა მომსახურების ახალი ფორმები;

გ) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად, 1967-70 წლების საზოგადოებრივი კვების ქსელის გაფართოების გეგმის შესაბამისად, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი საზკვების ქსელის სპეციალისტთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

დ) მტკიცე კონტროლი დაწესონ საზოგადოებრივი კვების, საწარმოთა მშენებლობის მიმდინარეობაზე, უზრუნველყონ დადგენილ ვადებში ამ ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა და მათი მომარაგება საჭირო ინვენტარით;

ე) ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებას საზოგადოებრივი კვების ქსელში;

ვ) არ დაუშვან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მონაწილეობით კონტროლი დაწესონ, რომ მომუშავე პერსონალმა მტკიცედ დაიცვას პირადი ჰიგიენის ნორმები და სანიტარული რეჟიმი.

2. დაევალოს წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის შესაფერისი ფართობების გამოყოფა ფისა და მათი სათანადო დანადგარებით აღჭურვის საქმეს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებას და ამ საკითხზე ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას;

ბ) დასახონ სათანადო ღონისძიებანი საზოგადოებრივი კვების ობიექტებში დიეტური კვების გასაუმჯობესებლად;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ სარეგიზიო სამმართველოებისა და ხარისხის ინსპექციის მუშაობა, გააძლიერონ ბრძოლა სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განიავების და საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

4. დაევალოს სამტრედიის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, კასპისა და სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომებს მუდმივი კომისიების, დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით კონტროლი დააწესონ რაიონში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების განვითარებასა და შემდგომ გაუმჯობესებაზე, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელ შესრულებაზე.

რეგულარულად შეისწავლონ და სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განიხილონ საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის საკითხები.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიიღოს სათანადო ზომები რესპუბლიკის საშუალო სკოლებში ბუფეტებისა და სასადილოებისათვის სათავსოების გამოსაყოფად.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

ა) გააძლიეროს კონტროლი საზოგადოებრივი კვების საწარმოო ობიექტების სანიტარული მდგომარეობისადმი და გაზარდოს ამ საქმეში სანეპიდსადგურების მუშაკთა პასუხისმგებლობა;

ბ) შეისწავლოს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება დიეტურ კერძებზე და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის წინაშე დააყენოს საკითხი შესაბამის რაიონებსა და ქალაქებში დიეტური სასადილოებისა და კუთხეების გახსნის შესახებ.

7. საქართველოს სსრ პროკურატურამ და საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ გაანალიზონ ვაჭრობის წესების დარღვევის საქმეებზე რესპუბლიკაში არსებული დასჯითი პრაქტიკა და მიიღონ სათანადო ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

8. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, სამტრედიის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, კასპის და სიღნაღის რაიონული საბჭოების აღმასკომებს — მიმდინარე წლის ბოლომდე ინფორმაცია წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. კოტინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 17 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

389 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

ვიქტორია მოსეს ასული **სირაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

თამარ ვასილის ასული **ლაშაქრაშვილი** — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

კომისიის მდივანი

ნათელა ილიას ასული **ლაღიძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

კომისიის წევრები:

გაბრიელ ნოეს ძე **გოშაძე** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი ნიკოლოზის ძე **ჯიბლაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი;

დარეჯან მელიტონის ასული **იოსელიანი** — საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი;

ჯუანშერ ალექსანდრეს ძე **კვარაცხელია** — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი;

გრიგოლ გიორგის ძე **ფოფხაძე** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან აბოს ძე **საყვარელიძე** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი;

გიორგი ვასილის ძე **სიხარულიძე** — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე;

ოთარ ვასილის ძე **თაქთაქიშვილი** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი;

მიხეილ ესტატეს ძე **თოფურიძე** — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი;

თინათინ ვასილის ასული **წერეთელი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგე;

მიხეილ თეოფანეს ძე **ჩიხლაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

ედუარდ ამბროსის ძე **შევარდნაძე** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1967 წლის 17 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

390 ადიგენის რაიონის სოფლების ამხერისა და საბუზარის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს ადიგენის რაიონის ლელოვანის სასოფლო საბჭოს სოფელი ამხერი და ვარხნის სასოფლო საბჭოს სოფელი საბუზარა მოსახლეობის სხვა სოფლებში ჩასახლების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1967 წლის 17 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

391 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ ამხ. ი. დ. ქაბულოვის დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის, მოვალეობის შესრულებისას გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ცხინვალის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის უბნის რწმუნებული იური დავითის ძე **ქაბულოვი** დაჯილდოვდეს მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი. 1967 წლის 17 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

392 ამხ. ი. ა. წიკლაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კვების მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქონდიტერის“ მმართველი ამხ. ილია ანდრიას ძე **წიკლაური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი. 1967 წლის 16 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

393 ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი პარტიული, საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე ამხ. კანდიდ ნესტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ქე ჩარკვიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 28 აგვისტო.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა საკითხი — როგორ სრულდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა.

მოხსენებები გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. მიქელაძემ.

მან აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა წარმატებით შესრულდა. მაგალითად, სამრეწველო წარმოების მოცულობის გადიდება მთლიანად რესპუბლიკაში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგენს 7,6 პროცენტს, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ სამრეწველო საწარმოებში — 7,8 პროცენტს.

გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათობით მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

მაგრამ მთელ რიგ დარგებში მიღწეულ წარმატებებთან ერთად მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ნაკლოვანებებზეც. მაგალითად, არ შესრულებულა ელექტროენერგიის, სინთეზური ბოჭკოს, შაბიამნის, ცემენტის, ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ცალკეულ სახეობათა ტრიკოტაჟის ნაწარმის საწარმოო გეგმა და სხვ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ი. კულიევმა, ზ. ხოლუაშვილმა, ლ. ისაკაძემ, გ. აზაურაშვილმა, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვ. ტრაპაიძემ, მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის მინისტრთა მოადგილეებმა რ. კიწურაშვილმა, გ. ბერიძემ და განათლების მინისტრის მოადგილემ უ. ობოლაძემ.

სხდომის მუშაობა შეაჯამა მუდმივი საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დ. გელაშვილმა.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა საკითხი „სამტრედიის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, კასპისა და სიღნაღის რაიონებში საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა მ. დანელიამ. მან აღნიშნა, რომ ამ რაიონებში საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოთა ქსელი ერთნახევარჯერ გადიდდა. საექსპლუატაციოდ გადაცემულია კვებისა და ვაჭრობის ახალი ობიექტები. მაგალითად, 1966—1967 წლებში გეგეჭკორის რაიონში მუშაობა დაიწყო საზოგადოებრივი კვების რვა ახალმა საწარმომ, კასპის რაიონში — სამმა, სიღნაღის რაიონში — ორმა და ასე შემდეგ.

და მაინც საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის დარგში მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. მთელი რიგი რაიონების მცხოვრებლებს აკლიათ სასადილოები, განსაკუთრებით დიეტური სასადილოები, ბევრი სასადილო და სასაუზმე მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში.

საზოგადოებრივი კვების ზოგიერთ საწარმოში ხშირად უხეშად ირღვევა საბჭოთა ვაჭრობის წესები.

ნაკლოვანებანია სავაჭრო რეკლამაში, ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობის დადგმაში და სხვა.

ჯერ კიდევ დაბალია მომსახურების კულტურა სკოლის ბუფეტებში. სამტრედიის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, კასპის, სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები და საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები ჯეროვნად არ მონაწილეობენ საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის გაუმჯობესების საქმეში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ სამტრედიისა და ჩოხატაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარენი ა. მანჯგალაძე და გ. მამალაძე, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი ი. წინამძღვრიშვილი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ყურაშვილი, რესპუბლიკის პროკურორი პ. ბერძენიშვილი, კომისიის წევრი ა. შადური და სხვები.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითა და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 1023 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		30
„ რუსთავიდან		7
„ ქუთაისიდან		9
„ ფოთიდან		3
„ ჭიათურიდან		24
ახალქალაქის	რაიონიდან	21
ახალციხის	„	6
ბოგდანოვკის	„	22
ბოლნისის	„	57
გარდაბნის	„	214
გორის	„	14
გურჯაანის	„	2
დმანისის	„	336
ვანის	„	14
ზუგდიდის	„	8
თელავის	„	5
თიანეთის	„	5
კასპის	„	15
ლაგოდეხის	„	31
მაიაკოვსკის	„	8
მესტიის	„	4
ონის	„	4
ორჯონიკიძის	„	5
ჩხოროწყუს	„	40
ცხაკაიას	„	11
წალენჯიხის	„	9
წალკის	„	52
წულუკიძის	„	3
ხაშურის	„	12
ხობის	„	6
სამხრეთ ოსეთის ა/ო		46